



**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/51**

ქ. თბილისი

27 ივნისი 2018

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებსა და საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 25 ივნისის №05-01/54 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ივნისის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტსა და საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი დანართების შესაბამისად:

1.1. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის, მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლიდან 26 000 ლარი გადატანილ იქნეს „შენობა-ნაგებობების“ მუხლში. საშტატო განრიგში შევიდეს შიდა თანამდებობრივი ცვლილება, საშტატო ერთეულის რაოდენობრივი და სახელფასო ფონდის ცვლილების გარეშე;


1.2. ბიოტექნოლოგიის ცენტრის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება და ნაცვლად კათვალისწინებული 15 ერთეულისა განისაზღვროს 14,5 ერთეულით;

1.3. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგში შევიდეს შიდა თანამდებობრივი ცვლილება, საშტატო ერთეულის რაოდენობრივი და სახელფასო ფონდის ცვლილების გარეშე;

1.4. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის „ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში“ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებიდან 1 200 ლარი გადატანილ იქნეს „არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის, შენობა-ნაგებობების“ პუნქტში.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოკვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი**


ჯემალ გახოვიძე